სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

ოთარ დოლიძე[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
https://doi.org/10.52340/sou.2022.20.13

საომარი მოქმედებები აფხაზეთში 1993 წლის მარტში

აბსტრაქტი. 1993 წლის 14 მარტს სეპარატისტებმა გუმისთის ფრონტზე მასშტაბური შეტევა წამოიწყეს. მათ ამ ბრძოლაში დაქირავებულ მებრძოლებთან ერთად რუსული შენაერთები შეიარაღებით, ტყვია-წამლით, ასევე სამანევრო, საჰაერო და საარტილერიო საშუალებებით მხარს უჭერდნენ.

სეპარატისტებმა ფრონტის ხაზის გარღვევა, ქართული მხარის პოზიციების სიღრმეში შეღწევა და სოხუმის გარეუბნებისკენ შეტევის განვითარება შეძლეს. თუმცა 16 მარტის 17 საათისთვის, ქართული შენაერთების თავგანწირული ბრძოლებისა და დროული კონტრშეტევის შედეგად ფრონტის ხაზი აღდგა. ხოლო 17 მარტის, დილით ქართული მხარე შეტევაზე გადავიდა და გუმისთის მარცხენა მხარე მთლიანად გაწმინდა.

ომის დაწყებიდან სეპარატისტებს არც ერთ ბრძოლებში ასეთი დიდი დანაკარგი არ განუცდიათ. ისინი ფსიქოლოგიურად დემორალიზებულები იყვნენ. ქართული მხარისთვის გუმისთის ფრონტზე კონტრშეტევისთვის ხელსაყრელი ვითარება საკმაოდ მომწიფებული იყო, რასაც აფხაზეთის ომში შეიძლება გარდამტეხი როლი ეთამაშა და ქართული მხარისთვის გადამწყვეტი გამარჯვებაც კი მოეტანა. თუმცა ეს არ მოხდა.

მარტის ბრძოლების შემდეგ გუმისთის ფრონტზე მცირე ხნით სიმშვიდემ დაისადგურა. თუმცა ეს სამშვიდობო პაუზა აფხაზურმა მხარემ, ქართული მხარისგან განსხვავებით პოზიციების გასამაგრებლად გამოიყენა.

საკვანძო სიტყვები: აფხაზი სეპარატისტები, ქართული შეიარაღებული ძალები, შეტევა, რუსეთის სამხედრო მხარდაჭერა, კონტრშეტევა.

---

[1] **ოთარ დოლიძე,** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

Otar Dolidze[2]
Sokhumi State University

Hostilities in Abkhazia in March 1993

Abstract. On March 14, 1993 the separatists launched a large-scale attack on the Gumista front. Along with mercenary fighters, they were supported by Russian units with weapons, ammunition, as well as maneuvering, air and artillery capabilities.

The separatists were able to breech through the Georgian defense front line, penetrate deep into the positions of the Georgian side and develop an attack towards the outskirts of Sukhumi. However, by 17:00 on March 16 the Georgian defense front line was restored as a result of self-sacrificing battles of Georgian units and a timely counterattack. After that, on the morning of March 17 the Georgian forces launch offensive operation and completely cleared the left side of Gumista River.

Since the beginning of the war, the separatists have not experienced such a big loss in any of the battles, they were psychologically demoralized, so the favorable situation for the counter-attack on the Gumista front was quite ripe for the Georgian side, which could play a critical role in the war in Abkhazia and even bring a decisive victory to the Georgian side. However, this did not happen.

After the battles of March peaceful environment settled down on the Gumista front for a short time. The Abkhazian side, unlike the Georgian side, used the mentioned peace pause to strengthen its positions.

Key words: Abkhaz separatists, Georgian Armed Forces, attack, Russian military support, counterattack.

ძირითადი კვლევა. მარტის დასაწყისიდან აფხაზ სეპარატისტთა ფორმირებები ოჩამჩირის რაიონში განსაკუთრებით გააქტიურდნენ. 1 და 2 მარტს აფხაზმა სეპარატისტებმა ოჩამჩირის რაიონის სოფლებს მერკულასა და ლაბრას შეუტიეს და მათი დაკავება შეძლეს. 4 მარტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ *„საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“* ერთობლივი დადგენილება მიიღეს (დადგენილება 1993).

10 მარტს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ლაბრასთან ბრძოლა კვლავ განახლდა. შეტაკებისას 20 აფხაზი და 9 ქართველი მებრძოლი დაიღუპა (ყოლბაია და სხვ. 1999: 140). 11 მარტს საქართველოს პარლამენტმა *„თანამედროვე ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების შესახებ“* დადგენილება მიიღო, რომელშიც რუსეთის ფედერაციის ჯარის ნაწილების გაყვა-

[2] **Otar Dolidze**. Phd Student of the Doctoral Program of Georgian History of the Faculty of Humanities of Sokhumi State University.
.

ნის გრაფიკი იქნა განსაზღვრული. დადგენილების თანახმად ეს პროცესი არაუგვიანეს 1995 წლისა უნდა დასრულებულიყო (უწყებები, 1993, N5-8: 24-25). იმავდროულად, ოჩამჩირის რაიონის სოფლებში ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა.

12 მარტს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ცაგერას მიმართულებით რუსეთის საჰაერო ძალების თავდასხმა განხორციელდა, რომლის სამიზნე მშვიდობიანი მოსახლეობა აღმოჩნდა. 19 საათისათვის რუსეთის სუ-25 ტიპის თვითმფრინავმა „ნურსის" ტიპის რაკეტებით სოფელი დაბომბა, რის შედეგადაც დაიღუპა 2 და დაიჭრა 9 მშვიდობიანი ქართველი მოქალაქე, მათ შორის 5 ბავშვი (ყოლბაია და სხვ. 1999: 141). 13 მარტს გუმისთის მიმართულებაზე 19 სთ-ზე, შემდეგ 23 სთ-ზე სუ-25 ტიპის თვითმფრინავებმა სოხუმი და ქართული შენაერთების პოზიციები დაბომბეს. რა თქმა უნდა საცეცხლე დამუშავების დავალებასთან ერთად, ისინი სოხუმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ვითარების შესწავლის მიზნით სადაზვერვო ოპერაციებსაც ასრულებდნენ. მართალია, აღნიშნულ ოპერაციას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ დაბომბვის შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები დაინგრა (ყოლბაია და სხვ. 1999:, 141).

14 მარტს, დილის 6 და 9 საათზე, აფხაზმა სეპარატისტებმა გუმისთის ფრონტზე ქართულ პოზიციებს მასიური ცეცხლი გაუხსნეს. შემდეგ, დღის მეორე ნახევარში სოხუმის რაიონის სოფელ შრომას სუ-25 ტიპის თვითმფრინავმა სავარაუდოდ სადაზვერვო მისიით რამდენჯერმე შემოუფრინა და გუდაუთის მიმართულებით გაფრინდა (ყოლბაია და სხვ. 1999: 141). იმავე საღამოს 21 საათისთვის აფხაზმა სეპარატისტებმა შეტევა განაახლეს და მათ ხელთარსებული ყველა სახის შეიარაღებიდან სოხუმის მასობრივი დაბომბვა დაიწყეს. დაბომბვის შედეგად 20-მდე საცხოვრებელი სახლი დაინგრა, 2 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, ხოლო 12 მძიმედ დაიჭრა, მათ შორის 2 ბავშვი (ყოლბაია და სხვ. 1999: 141). ღამის 2 სთ-ზე სეპარატისტთა ძალებმა სოხუმისა და გუმისთაზე ქართველთა პოზიციების მასირებული საარტილერიო დაბომბვა დაიწყეს. მოგვიანებით, სუ-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავებმა სოხუმის მისადგომებთან მანათობელი რაკეტები გადმოყარეს და იქაურობა გაანათეს, შემდეგ ქალაქი სოხუმი დაბომბეს. საარტილერიო და საავიაციო დაბომბვები მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. გამთენიისას სეპარატისტთა სახმელეთო შენაერთებმა ფრონტის ხაზი გადმოლახეს და მთავარი შეტევაც დაიწყო (გოგლიძე, 2019: 59-60).

სოხუმის პირველი ბატალიონის მეთაური დავით ღვინჯილია იხსენებს: *„ჯერ თვითმფრინავით ჩამოყარეს ისეთი ნაღმები, რომლებიც უშუალოდ შეტევის წინ უნდა აფეთქებულიყო. ნაღმების აფეთქების შემდეგ, ღამით დაიწყეს საარტილერიო შეტევა, რაც საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდა. მერე კი ხალხის მასა წამოვიდა“* (დევიძე, 2006). ეს კარგად მომზადებული კლასიკური შე-

ტევის დოქტრინული მოდელია: პირველ რიგში, სადაზვერვო ოპერაციებით მოწინააღმდეგის ჰაერსაწინააღმდეგო პოზიციების, მართვის პუნქტებისა და რეზერვის პოზიციების ადგილსამყოფელის დადგენა; შემდეგ ამ პოზიციებზე სარაკეტო და საარტილერიო ცეცხლის მიტანა; ამის შემდეგ ფრონტის ხაზის გასწვრივ მოახლოების მარშრუტებზე და მაღალი ღირებულების მიზნებზე საავიაციო დაბომბვები და ბოლოს სახმელეთო ოპერაცია.

იანვარში გამართული გუმისთის ბრძოლისგან განსხვავებით ამ ბრძოლაში აფხაზ სეპარატისტთა მხრიდან დიდი რაოდენობის სამხედრო ტექნიკა იქნა გამოყვანილი. სოხუმის პირველი ბატალიონის მეთაურის ცნობით, *„დღეს რომ ამბობენ, ეს ტანკები და სამხედრო ტექნიკა ნაალაფარია, ქართველებს წავართვითო, მტკნარი სიცრუეა. ჩვენ სად გვქონდა იმდენი სამხედრო ქონება, რომ დაგვეკარგა და აფხაზებს ჩავარდნოდა ხელთ“* (დევიძე, 2006). რა თქმა უნდა, აფხაზი სეპარატისტების არსენალი რუსეთის დახმარების შედეგი იყო.

ამ ბრძოლაში აფხაზი სეპარატისტების მხარეს, გარდა დაქირავებული მებრძოლებისა, რუსული შენაერთებიც იღებდნენ მონაწილეობას, კერძოდ: 345-ე საჰაერო-სადესანტო პოლკის 900-მდე სამხედრო მოსამსახურე (მიქატაძე, 2018: 69). სეპარატისტთა სამხედრო ფორმირებებს მეწინავე რაზმებად რუსეთის სპეცდანიშნულების შენაერთები მოუძღოდათ. მათ ამოცანას გზის „გაწმენდა“ და მთავარი ძალების – აფხაზთა და დაქირავებულთა რაზმების, სოხუმისკენ უსაფრთხო გატარება წარმოადგენდა. რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმებმა მდ. გუმისთა გადმოლახეს და ე.წ. *„უჩხოზთან“* და გუმისთის ხაზის ზოგიერთ მონაკვეთში პლაცდარმი დაიკავეს. მათი კონტროლის ქვეშ რამდენიმე ნაგებობაც მოექცა (მიქატაძე, 2018: 69). მეწინავე ქვედანაყოფების უმთავრეს მიზანს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლეების დაუფლება და პლაცდარმის დაკავება წარმოადგენდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისთვის ქართული მხარის მიერ პოზიციებზე მორიგეობა იყო დაწესებული. სეპარატისტთა შენაერთებს სწორედ ქართველი მორიგეების მცირერიცხოვანმა ჯგუფებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს (ყოლბაია და სხვ. 1999: 141-142). ასეთი მასშტაბური შეტევის ფონზე განგაში დაუყონებლივ გამოცხადდა. 3 საათზე ქართული არტილერია ამოქმედდა და მოწინააღმდეგის მთავარი ძალები და ტექნიკა გაანადგურა. დილის 5-6 საათისთვის, ქართველთა მხრიდან ფრონტის ხაზი უკვე გამაგრებული იყო. ქართული შენაერთები გუმისთის 8 კმ-იან ზოლზე ორი საათის განმავლობაში სეპარატისტთა ძალებს აკავებდნენ, თუმცა თავდაცვის ზოლის ზოგ მონაკვეთზე ხელჩართული ბრძოლებიც იყო გაჩაღებული. აფხაზი სეპარატისტების მხარეს ბრძოლაში ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონიც (მეთაური, ვაღარშაკ კოსიანი) იყო ჩართული (ბურჭულაძე, 2011; მიქატაძე, 2018: 69; გოგლიძე, 2019: 60-61).

ამ დროს შეტევის ყველაზე სახიფათო მიმართულებად აჩადარის რკინიგზის სადგური გამოიკვეთა. იქ არსებული ხიდების ხელში ჩაგდებით სეპარატისტთა ძალებს ჯავშანტექნიკის გამოყენების შესაძლებლობაც ექნებოდათ. მათ ფრონტის ხაზის გარღვევა, 23-ე ბრიგადის მიერ დაკავებული პოზიციების სიღრმეში შეღწევა და სოხუმის გარეუბნებისკენ შეტევის განვითარება შეძლეს, რომლის შედეგად გუმისთის თავდაცვის ზოლზე არსებული ქართული ქვედანაყოფების ალყაში მოქცევის საფრთხე შეიქმნა. კოალიციური ძალების დაჯგუფების შემადგენლობაში მაიორ მლინნიკის მეთაურობით რიგის განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის რაზმი მოქმედებდა, რომელსაც რუსეთის ხელმძღვანელობა ცხელ წერტილებში პერიოდულად იყენებდა. მისი დავალება მთის გავლით აჩადარის ხიდების ხელში ჩაგდება და სოხუმის მიმართულებით შეტევის განვითარება იყო (ჯოჯუა, 2017: 160).

შინაგანი ჯარის ვიცე-პოლკოვნიკ გელა ათაქიშვილის ცნობით, მოწინააღმდეგემ გუმისთის მხარეს წყალსაქაჩთან მე-2 ბატალიონის პოზიციები გაარღვია, ხიდის ქვეშ რკინიგზას გამოჰყვა და ახალ რაიონამდე მოაღწია (მიქატაძე, 2018: 69). სეპარატისტთა დაჯგუფებამ ამით ისარგებლა, ქალაქის შესასვლელთან სამხედრო პოლიციის ბატალიონის მეომრებს ჩაუსაფრდა და გზა გადაუკეტა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, სადაც ქართველთა მხრიდან დაიღუპა და დაიჭრა რამდენიმე სამხედრო პოლიციელი. დაღუპულთა შორის იყო სამხედრო პოლიციის სოხუმის ბატალიონის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი ელგუჯა ბერიძე.

სეპარატისტთა ძალებმა ქალაქში შესასვლელი გზა რომ ვერ ნახეს, სხვა გზას დაუწყეს ძებნა და მანდარინის პლანტაციებისაკენ წავიდნენ. მათ ერთ-ერთი იქ მცხოვრები სომხის სახლს თავი შეაფარეს, რომელსაც რამდენიმე წუთში სამხედრო პოლიციელთა მცირე ჯგუფი, ბატალიონის უფროსის მოადგილის, კაპიტან მამუკა მიქავას მეთაურობით მიადგა და ხელჩართულ ბრძოლაში ბოევიკები ამოხოცა.

დაახლოებით 17 საათისთვის, მე-2 ბატალიონის ნაწილები დამხმარე ძალებთან ერთად, მძიმე ტექნიკის მხარდაჭერით შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ სეპარატისტთა ძალების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ (გოგლიძე 2019: 62). დამხმარე ძალებისა და ავიაციის ბრძოლაში ეფექტური ჩართვისა და ქართული შენაერთების დროული კონტრშეტევის შედეგად ფრონტის ხაზი აღდგა. ამის შემდეგ გაწმენდითი ოპერაცია დაიწყო (ყოლბაია და სხვ. 1999: 141-142). ზურგში ჩარჩენილი იყო *„ბაგრამიანის“* ბატალიონი, რომელსაც ბევრი დაჭრილი ჰყავდა და შველას ითხოვდა. ამ ბრძოლაში ბაგრამიანის ბატალიონმა სერიოზული დანაკარგი განიცადა (მიქატაძე, 2018: 69).

16 მარტის ღამის განმავლობაში მასიურ სახმელეთო აქტივობებს ადგილი არ ჰქონია. მხოლოდ რუსეთის თვითმფრინავებმა სოხუმი რამდენჯერმე დაბომბეს, რასაც შედეგად მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვა. იმავე ღამის 3

საათისთვის აფხაზურმა მხარემ შეტევის მეორე ტალღა წამოიწყო, მაგრამ მდ. გუმისთის გადმოლახვა ვერ შეძლო და უკან დაიხია. 17 მარტს დილის 7 საათზე მე-2 ბატალიონი შეტევაზე გადავიდა და გუმისთის მარცხენა მხარე მთლიანად გაწმინდა. ამ ბრძოლებში მე-2 ბატალიონიდან 37 მეომარი დაიღუპა (გოგლიძე, 2019: 62, 65).

ამდენად, გუმისთაზე 14-16 მარტის ბრძოლებისას მტერმა ფრონტის ხაზი მხოლოდ აჩადარასთან გაარღვია, თუმცა მისი აღდგენა მალევე მოხერხდა (ტოკლიკიშვილი, 2017: 113). მოწინააღმდეგის მხრიდან მსხვერპლი დიდი იყო. საავტომობილო ტრასა დაღუპული ჯავშანჟილეტებიანი რუსი ჯარისკაცებით იყო მოფენილი (ტოკლიკიშვილი, 2017: 113). როგორც გაირკვა, ამ ოპერაციაში სეპარატისტების მხრიდან ჩართული იყო 6 ათასამდე მებრძოლი, მათგან 1200-ზე მეტი დაიღუპა, ხოლო 3 ათასამდე დაიჭრა. დაჭრილების რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ისინი ადლერის, სოჭისა და დაგომისის საავადმყოფოებში გადაიყვანეს (გოგლიძე, 2019: 63). განცდილი მარცხისა და უზარმაზარი მსხვერპლის გამო სეპარატისტთა შენაერთები დემორალიზებულები იყვნენ, ქართული მხარისთვის გუმისთის ფორსირებისა და კონტრშეტევის განხორციელებისათვის ხელსაყრელი ვითარება უკვე საკმაოდ მომწიფებული იყო, თუმცა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ამის ნება არ მისცეს (გოგლიძე, 2019: 63).

ტყვეების დაკითხვით გაირკვა, რომ სეპარატისტები 15 მარტს, 23 საათზე ღამის სიბნელეში რუსი ინსტრუქტორების მიერ მომზადებული და საგანგებოდ შერჩეული 500-მდე ბოევიკებით 300 მეტრიან დანაღმულ და დაუცველ ტერიტორიაზე შემოვიდნენ. მათი ამოცანა მე-2 ბატალიონის ნაწილების განადგურება, სოხუმის ახალ რაიონში შეღწევა და ქალაქზე შეტევისთვის პლაცდარმის მომზადება იყო (გოგლიძე, 2019: 62).

გუმისთის ფრონტზე 14-17 მარტის ბრძოლა, იანვრის აჩადარის ბრძოლის შემდეგ, სეპარატისტებისა და მათი მოკავშირეების მიერ წარმოებული მეორე და უფრო მასიური შეტევა იყო, რომელშიც დიდი რაოდენობის სახმელეთო ძალებთან ერთად რუსული ავიაცია და მძიმე საარტილერიო ქვედანაყოფები იყვნენ ჩართულნი. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა გუმისთის ფრონტის კონკრეტულ მონაკვეთზე ქართული მხარის თავდაცვის ზოლის გარღვევა და სიღრმეში შეღწევა შეძლეს, იგი ალყაში მოექცა და ქართული არტილერიის მასირებული ცეცხლით განადგურდა. მოწინააღმდეგის დანაკარგმა 2 ათასს გადააჭარბა; ასევე დიდი იყო მათი ჯავშან-ტექნიკის დანაკარგებიც. ქართულმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა მდ. გუმისთის მარცხენა სანაპირო სეპარატისტთა შენაერთებისაგან მთლიანად გაწმინდეს, რის შედეგადაც 14 მარტამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა შეძლეს (ჯოჯუა, 2014: 88).

ამ ბრძოლაში ქართული მხრიდან დაიღუპა 100-ზე მეტი მებრძოლი და ადგილობრივი მცხოვრები (ყოლბაია და სხვ. 1999: 142), მათ შორის, მე-2 საა-

რმიო კორპუსის საარტილერიო პოლკის 6 არტილერისტი (მიქატაძე, 2018: 69). აფხაზი სეპარატისტების მხრიდან მასობრივი დაბომბვის ადგილები იყო: სოხუმის თამარ მეფის ქუჩა, კუხალეიშვილის ქუჩა, მარუხის ქუჩა, თბილისის გზატკეცილი, შუქურას რაიონი. გამოყენებული იყო დიდი სიმძლავრის (300-500 კგ) საავიაციო ბომბები, რომელსაც შედეგად მსხვერპლი და მასიური ნგრევა მოჰყვა, დაიღუპა და დაიჭრა ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე, დაინგრა და მწყობრიდან გამოვიდა საცხოვრებელი სახლები (ყოლბაია და სხვ. 1999: 142).

შინაგანი ჯარის ვიცე-პოლკოვნიკი გელა ათაქიშვილი აღნიშნავს, რომ 16 მარტის შეტევის მოგერიებაში ქართულმა არტილერიამ დიდი წვლილი შეიტანა, რომლის ზუსტი და დროული ცეცხლის შედეგად მოწინააღმდეგის მეორე ხაზზე მყოფი რეზერვი – გუმისთის ხიდთან ბატალიონის ზომის ქვედანაყოფი სასტიკად განადგურდა, გადარჩენილებს კი ქართული სპეცდანიშნულების რაზმები უსწორდებოდნენ, რომელთაგან ბევრი ტყვედ ჩავარდა (მიქატაძე, 2018: 69).

გუმისთის ფრონტზე 14-17 მარტს გამართულ ბრძოლაში ქართულმა არტილერიამ, რომელსაც პოლკოვნიკი ემზარ ჭოჭუა სარდლობდა, ზუსტად და ეფექტურად იმუშავა; ასევე, აღსანიშნავია, მე-2 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვალერი ქვარაია, რომელიც მეომრებს მამაცობის მაგალითს აძლევდა. ამ ბრძოლაში შუქურას რაიონში გამართული შეტაკება გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო. მოწოდების სიმაღლეზე იდგა სამხედრო პოლიციის რაზმი (მეთაური, პოლკოვნიკი სოსო ახალაია), რომელმაც აფხაზ სეპარატისტთა შენაერთებს სათანადო დარტყმებით შუქურის რაიონის დატოვება აიძულა (პაპასქირი, 2007: 392-393). მე-6 სატანკო ბატალიონის ტანკისტები ზურაბ ზარანდია და მურთაზ პიტავა 16 მარტს ეშერასთან ცეცხლმოდებულ ტანკში ცოცხლად ჩაიწვნენ. მათ ფრონტის ხაზის შესანარჩუნებლად ცეცხლმოკიდებული ტანკი არ მიატოვეს და სიცოცხლის ბოლო წუთამდე იბრძოდნენ (ბურჭულაძე, 2011; მიქატაძე, 2018: 69).

აღსანიშნავია ასევე აფხაზი მეომრების გმირობისა და თავდადების მაგალითები. ვახტანგ ავიძბა, რომელიც წარმოშობით სოფელ ბლაბურხვადან იყო, სეპარატისტთა ერთ-ერთ შენაერთში იბრძოდა. მან, თავად მძიმედ დაჭრილმა, დაჭრილი თანამებრძოლების გადასარჩენად გუმისთა რამდენჯერმე გადალახა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ სისხლისგან იცლებოდა, დაჭრილი და დახოცილი თანამებრძოლები მდინარის იქითა ნაპირზე უსაფრთხო ადგილას შეაგროვა, თვითონ კი უკანასკნელ დაჭრილთან ერთად დარჩა და დაიღუპა (ბურჭულაძე, 2011; მიქატაძე, 2018: 16).

17 მარტს, ასეთი გაცხარებული საბრძოლო მოქმედებების ფონზე, საქართველოს პარლამენტმა გაეროს, ევრო-პარლამენტის, მსოფლიო ქვეყნების პარლამენტების, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოსადმი მიმართვა გაავრცელა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რუსეთის ფედერაცია საქა-

რთველოს წინააღმდეგ ფარულ ომს ეწევა, *„აფხაზ სეპარატისტებს ამოფარებული რუსეთის შეიარაღებული ძალები 16 მარტის შეტევაში ასრულებდნენ გადამწყვეტ როლს“*. მათი მიზანი აფხაზეთის რეგიონის საქართველოსგან მოწყვეტა და მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა იყო. ამასთანავე, საქართველოს პარლამენტმა რუსეთის ფედერაციისგან კონფლიქტის ზონიდან რუსული სამხედრო ნაწილების გაყვანა კვლავ მოითხოვა. იმავე დოკუმენტში საქართველოს ხელისუფლება მსოფლიო საზოგადოებრიობას მოუწოდებდა, რომ *„რეაგირების გარეშე არ დატოვონ რუსეთის აგრესიული ქმედება საქართველოს მიმართ და არ დაუშვან საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა იმპერიალისტური ამბიციებით შეპყრობილ პოლიტიკურ ძალთაგან. მსოფლიო დემოკრატიული ძალები წინ აღუდგებიან „ბოროტების იმპერიის“ აღორძინებას და ამით უდიდეს საფრთხეს აცილებენ როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებს, მათ შორის – თვით რუს ხალხს, ასევე მთელ მსოფლიოსაც“* (უწყებები, 1993, N5-8: 103-104; აფხაზეთის საკითხი, 1999: 144).

რა თქმა უნდა, ამ დოკუმენტს რაიმე განსაკუთრებული შედეგი არ მოჰყოლია. რადგან საქართველოს მხარეს დადგომასა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას ვერავინ ბედავდა. აღნიშნული მიმართვის გარეშეც რეგიონში მიმდინარე მოვლენებისა და რუსეთის დანაშაულობების შესახებ ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა. იმავე დღეს ქალაქ მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს მიერ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოსადმი სპეციალური მიმართვა იქნა მიღებული, რომლის თანახმად დეპუტატთა საბჭო საქართველოს მიმართ სპეციალური სანქციების შემოღებას ითხოვდა (ყოლბაია და სხვ. 1999: 142).

შუადღის 13 სთ-ისთვის სოხუმის შუქურას რაიონში ქართულმა მხარემ გემი შენიშნა. ქართულმა მხარემ იგი მტრად აღიქვა, შესაბამისად საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მას ცეცხლი გაუხსნეს და ჩაძირეს (ყოლბაია და სხვ. 1999: 142-143). 18 მარტის ღამის 3 საათზე აფხაზი სეპარატისტების მხრიდან გუმისთის გადმოლახვის მცდელობას კვლავ ჰქონდა ადგილი, მაგრამ ქართული მხარის საარტილერიო ქვედანაყოფის მიერ გახსნილმა ცეცხლმა აფხაზებს ამის საშუალება არ მისცა. იმავე დღეს ქართველი მებრძოლების მიერ გუმისთის ფრონტზე, სოფ. აჩადარაში, ბაგრამიანის ბატალიონის მებრძოლები ტყვედ აიყვანეს (ყოლბაია და სხვ. 1999: 143). იმავე დღეს, 17 საათისთვის ახალი ათონის მხრიდან მომავალი აფხაზური მხარის მძიმე სატვირთო ავტომანქანების კოლონა იქნა შემჩნეული, რომელიც ეშერის მიმართულებით გადაადგილდებოდა. ქართული მხარის მიერ გახსნილი საარტილერიო ცეცხლის შედეგად ექვსი სატვირთო ტრანსპორტიდან ოთხი განადგურდა (ყოლბაია და სხვ. 1999: 143).

19 მარტს დილის 5 საათისთვის სოხუმის რაიონის სოფ. ოდიშთან რუსეთის ფედერაციის სუ-27 ტიპის სამხედრო თვითმფრინავი იქნა ჩამოგდებული, რომლის პილოტი, მაიორი ვაცლავ შიპკო ადგილზე დაიღუპა (ყოლ-

ბაია და სხვ. 1999: 143). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ფარდას ხდიდა რუსეთის თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვის ტყუილს იმის შესახებ, რომ თითქოს ქართველები თავიანთ თვითმფრინავებს თვითონ ღებავდნენ და თვითონვე აგდებდნენ (პაპასქირი, 2007: 394). უკვე რუსეთს დასამალი აღარაფერი ჰქონდა. გაზეთ *„იზვესტიაში“* რუსეთის მიერ აფხაზი სეპარატისტებისადმი დახმარების სახით გადაცემული შეიარაღებისა და ტექნიკის ჩამონათვალი გამოქვეყნდა: 7 ტანკი, 20 ჯავშანტრანსპორტიორი, 12 საარტილერიო დანადგარი, მათ შორის „ურაგანი“ და „გრადი“ (ჯოჯუა, 2017: 161).

25 მარტს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ბესლახუბასთან აფხაზების დივერსიული ჯგუფი ქართული შენაერთების პოზიციების გარღვევას შეეცადა. ქართულმა მხარემ ამ შეტევის მოგერიება შეძლო. შეტაკებისას 6 ქართველი მეომარი დაიღუპა: დ. შარანგია, ი. ქანთარია, ზ. ლაცუზბაია, გ. თითბერიძე, რ. ზარია, კ. ცატავა (ყოლბაია და სხვ. 1999: 144; მიქატაძე 2018: 16).

როგორც მოქმედებებიდან ჩანს, გუმისთის ფრონტზე 14-17 მარტის ბრძოლას საქართველოს ხელისუფლება შედარებით მომზადებული შეხვდა. ამის ნათელი მაგალითია 14 მარტს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის სოხუმში ჩასვლა. სოხუმის დაცვის ხელმძღვანელობა უშუალოდ მან აიღო თავის თავზე. დამატებით, იმავე დღეს, საქართველოს პარლამენტმა *„გალისა და გულრიფშის რაიონების ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“* დადგენილება მიიღო (ყოლბაია და სხვ. 1999: 143). შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სადაზვერვო სისტემამ იმ დროისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საბრძოლო ინფორმაცია მოიპოვა და ამის საფუძველზე ქართულმა შენაერთებმა სათანადო რეაგირება დროულად მოახერხეს.

ქართული მხარის სადაზვერვო სისტემის წარმატებულობასა და ქართველების მზაობასთან დაკავშირებით აფხაზი ისტორიკოსი ა. ავიძბა აღნიშნავს, რომ ეროვნული გვარდიის შტაბში საგანგებო შეკრება დროულად გამოცხადდა, რომლის თანახმად ეროვნული გვარდიის ყველა დანაყოფის მებრძოლები და რეზერვისტები გვარდიის შტაბში 14 მარტამდე უნდა შეკრებილიყვნენ. ასევე, ჯერ კიდევ 14 მარტის საღამოს ქართულმა ტელევიზიამ, სადაზვერვო მონაცემებზე დაყრდნობით სოხუმზე 15-18 მარტს დაგეგმილი ფართომასშტაბიანი თავდასხმის ალბათობის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა (Авидзба, 2013: 186; Пачулия, 2010: 228).

ქართული მხარის მზაობა გამიზნულ სამხედრო მოქმედებებშიც აისახა: ღამის გუშაგებისა და მორიგეების მხრიდან სათანადო პასუხი, სამხედრო შენაერთებში დროული განგაში და თავდაცვის ზღუდის შენარჩუნება, შემდეგ ეფექტური კონტრშეტევის შედეგად მოწინააღმდეგის განდევნა და პირვანდელი ვითარების აღდგენა. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული მხრის სარდლობამ, სადაზვერვო სამსახურთან ერთად ეფექტურად იმუშავა

და წინასწარი სადაზვერვო ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი რეაგირებაც მოახდინა.

ამ ბრძოლისთვის, როგორც აფხაზების, ასევე ქართველების მზაობასთან დაკავშირებით ვ. შარია აღნიშნავს, რომ აფხაზური მხარის მზაობა თავდასხმისთვის განსაკუთრებული ყურადღებით მიმდინარეობდა. წინასწარ იყო გათვალისწინებული ჯავშან-ჟილეტი, წყალგაუმტარი კოსტუმები, რამაც ბევრ აფხაზ მებრძოლს სიცოცხლე შეუნარჩუნა (Шария 1993: 77). ამავდროულად, გაგრის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ქართულმა სამხედრო ხელმძღვანელობამაც მოსალოდნელი თავდასხმის საწინააღმდეგოდ ქალაქის თავდაცვის გასაძლიერებლად სერიოზული ზომები გაატარა (Авидзба, 2013: 186; Пачулия, 2010: 228).

14-17 მარტის ბრძოლაში აფხაზების მარცხს თვით აფხაზი ისტორიკოსებიც აღიარებენ. მაგრამ აღსანიშნავია მათი მხრიდან დანახული მარცხის მიზეზები. ისტორიკოს ა. ავიძბას აზრით, 5 იანვრის მსგავსად მარცხის უმთავრეს მიზეზი ოპერაციის მსვლელობის დროს ბრძანებებისა და განლაგებებთან დაკავშირებით არსებული შეუსაბამობები იყო, რომლის შედეგად ქართული მხარის ზურგში შეჭრილი საბრძოლო ჯგუფები მხარდაჭერის გარეშე აღმოჩნდნენ. საბოლოოდ, მათ საწყის პოზიციებზე დასაბრუნებლად 2-3 დღიანი ბრძოლები დასჭირდათ (Авидзба, 2013: 186).

მარტის ბრძოლის ანალიზის შემდეგ აფხაზი სამხედრო ისტორიკოსი ვალიკო ფაჩულია აფხაზური მხარის მარცხის შემდეგ ძირითად მიზეზებს ასახელებს: 1-ლი ეშელონის ქვედანაყოფების მიერ საწყის პოზიციებზე არადროული გასვლა; აფხაზურ ქვედანაყოფებზე დიდი მორალური და ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა ქართული მხარის მიერ ეფექტურად დანაღმულმა ველებმა; ვერ მოხერხდა ქართული მხარის ყველა საცეცხლე პოზიციების სრულად გამოაშკარავება; ცალკეულ აფხაზურ ქვედანაყოფებში დაბალი მორალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ზოგიერთი მეთაურის უპასუხისმგებლობა და გამოუცდელობა; ბრძოლის დროს არ სრულდებოდა ვითარების შესახებ დროული მოხსენება; აფხაზური მხარის არტილერიამ ქართული მხარის თავდაცვის პირველ ხაზს პრაქტიკულად ზიანი ვერ მიაყენა; იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის კუთხით საგრძნობი დანაკლისი, ამოცანის შესრულებისას ზოგიერთი ქვედანაყოფის მხრიდან დაბნეულობა, ოპერაციის მოსამზადებლად დროის ნაკლებობა; სამხედრო ოპერაციების მართვისა და კონტროლის არააპრობირებული სისტემა; ყველა ქვედანაყოფის მიერ რეკოგნოსცირების არ ჩატარება, ბრძოლაში ჯავშანტექნიკის ვერ ჩაბმა (Пачулия, 2010: 228). როგორც ჩანს, მართვის, კონტროლისა და ლოჯისტიკის კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემები ქართული მხარის მსგავსად აფხაზ სეპარატისტებსაც ჰქონდათ.

მიუხედავად ქართული სამხედრო შენაერთების მიერ ჩატარებული ასეთი თავგანწირული ბრძოლებისა და მოპოვებული დიდი წარმატებებისა, წი-

ნსვლა საქართველოს ხელისუფლების მიერ იქნა შეჩერებული, მაშინ როდესაც კონტრშეტევაზე გადასული ქართული შენაერთებით შესაძლებელი იყო გუდაუთის აღება და უდიდესი წარმატების მიღწევა, რადგან მთელი ბრძოლების მანძილზე მხოლოდ ამ დროს იყო მდინარე გუმისთის მარჯვენა ნაპირზე გადასვლისა და გუდაუთა-ახალი ათონის ტერიტორიაზე არსებული აფხაზური სეპარატისტული დაჯგუფებების გაუვნებელყოფის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი.

მე-2 საარმიო კორპუსის საარტილერიო პოლკის ყოფილი მეთაური პოლკოვნიკი ჯუმბერ ანანიძე აღნიშნავს, რომ 1993 წლის 15-16 მარტს სოხუმზე შემოტევა ძირითადად არტილერისტებმა მოიგერიეს. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ სოხუმში მტერი არ შემოსულიყო. მისი აზრით, ქართული შენაერთები მაშინვე უნდა გადასულიყვნენ შეტევაზე, მაგრამ ეს ხელსაყრელი მომენტი არ იქნა სათანადოდ გამოყენებული (მიქატაძე, 2018:16). ამ საკითხთან დაკავშირებით იგივე მოსაზრება გააჩნია აფხაზეთის ომის მონაწილეს კახა დვალიშვილს. მისი თქმით, ქართული ქვედანაყოფები კონტრშეტევაზე გადასასვლელად 16 მარტის საღამოსვე მზად იყვნენ. გამარჯვებით შეგულიანებული ქართველი მებრძოლები კონტრშეტევაზე გადასვლის ბრძანებას რამდენიმე დღე ელოდნენ (ტოკლიკიშვილი, 2017: 114).

ცნობილია, რომ 15-17 მარტის შემდეგ გუდაუთაში პანიკური მდგომარეობა იყო, ეგონათ, საქართველოს შეიარაღებული ძალები შეტევას გააგრძელებდნენ (აფხაზეთი მე ვარ 2019: 9). საქართველოს იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე იხსენებს, რომ 1993 წელს ვლადისლავ არძინბამ მას დაურეკა და ედუარდ შევარდნაძესთან სასწრაფოდ შეხვედრა ითხოვა. ის აცხადებდა, რომ მოლაპარაკებებისთვის მზად იყო. ე. შევარდნაძე მაშინ სოხუმში იმყოფებოდა, თუმცა ვ. არძინბასთან შეხვედრას თავი აარიდა (ჩიკვაიძე, 2004: 299-300). ა. ჩიკვაიძე არ ასახელებს კონკრეტულ თარიღს, თუმცა, სავარაუდოა, რომ ვ. არძინბას ე. შევარდნაძესთან შეხვედრის სურვილი, სწორედ მარტის ბრძოლების შემდეგ უნდა ჰქონოდა. ა. ჩიკვაიძე წერს: *„არ გამოვრიცხავ, უარი არძინბასთან შეხვედრაზე საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენთვის“* (ჩიკვაიძე, 2004: 300).

14-17 მარტის ბრძოლა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ტიპური თავდაცვიდან ეფექტურ თავდასხმაზე გადასვლის კლასიკური, დოქტრინული მაგალითი. როგორც ისტორიული მაგალითებიდან არის ცნობილი, წარმატებულ თავდაცვით ოპერაციებს უმეტესად თავდასხმითი ოპერაციები მოსდევს. თავდასხმითი ოპერაციების ოთხი სახე არსებობს: შეხებისკენ გადაადგილება, შეტევა, მოპოვებული წარმატების განვითარება (ექსპლუატაცია) და დევნა. მეთაური ამ თავდასხმით ოპერაციებს თანმიმდევრულად და ერთმანეთის კომბინაციით აწარმოებს, რათა გამოიმუშაოს მაქსიმალური საბრძოლო ძალა და გაანადგუროს მოწინააღმდეგე. მაგალითად, წარმატებული შე-

ტევა წინ უძღვის მოპოვებული წარმატების განვითარებას, რომელიც ასევე შეიძლება გაგრძელდეს დევნის ოპერაციით (Headquarters Department Of The Army, FM 3-0. 2001:7-16).

კახა დვალიშვილის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ გუმისთის ბრძოლაში კონტრშეტევის ბრძანების არგაცემამ სამხედრო ხელმძღვანელობაში დიდი უთანხმოება გამოიწვია. *„...შევარდნაძე გუმისთის იქით ნაბიჯის გადამდგმელი რომ არ არის, უკვე ცხადია. ჩვენმა ხელისუფლებამ, იმის მაგივრად, რომ სწრაფი კონტრშეტევით ეპასუხა სოხუმთან უკვე მეორე მარცხით დაბნეული მტრისთვის, ისევ ადგილზე დგომის, ვითომ მოლაპარაკებების* და *აფხაზების ბარბაროსული ქცევის გასაჩივრების პოლიტიკა არჩია“*(ტოკლიკიშვილი, 2017: 115). ეს ჩანაწერი შეიძლება ერთი რიგითი გაბრაზებული მებრძოლის სუბიექტური აზრია, მაგრამ რეალობას ასახავს. ქართულმა მხარემ ყველაფერი გააკეთა გარდა მოპოვებული წარმატების სიღრმისეული განვითარებისა და დევნისა, რასაც შეიძლება გარდამტეხი როლი ეთამაშა აფხაზეთის ომში და ქართული მხარისთვის გადამწყვეტი გამარჯვებაც კი მოეტანა.

სეპარატისტებს ომის დაწყებიდან არც ერთ საბრძოლო ოპერაციაში ასეთი დიდი დანაკარგი არ განუცდიათ, დანაკარგი სამჯერ მეტი იყო, ვიდრე 5 იანვრის ბრძოლაში (Шария, 1993: 78). აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგიურად და მორალურად განადგურებული სეპარატისტებისთვის ქართული შენაერთების კონტრშეტევა მათი განადგურებისა და საბოლოო მარცხის ტოლფასი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ქართული სამხედრო შენაერთების შეტევაზე გადასვლისათვის ხელსაყრელი ვითარება სარდლობის არასწორი გადაწყვეტილების შედეგად ხელიდან იქნა გაშვებული. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ეს იყო უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური შეცდომა. ამგვარი გადაწყვეტილება (უმოქმედობა) საკუთარი სახელმწიფოს წინაშე ჩადენილ სამხედრო დანაშაულადაც კი შეიძლება იქნას შეფასებული.

15-17 მარტის აფხაზი სეპარატისტების მიერ სოხუმზე წარუმატებელი შეტევის შემდეგ გუმისთის ფრონტზე მცირე ხნით სიმშვიდემ დაისადგურა, თუ არ ჩავთვლით რუსული ავიაციის აქტიურობებს. ქართულ მხარესთან მოლაპარაკების საფუძველზე სეპარატისტებს ბრძოლის ველიდან დაღუპული ჯარისკაცების გადასვენების საშუალება მიეცათ. მაგრამ აღნიშნული სამშვიდობო პაუზა აფხაზურმა მხარემ პოზიციების გასამაგრებლად გამოიყენა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ქართული მხარის შესახებ. მათ რაიმე სახის სათანადო რეაგირებაც კი არ გაუკეთებიათ (ყოლბაია და სხვ. 1999: 143).

გამოყენებული ლიტერატურა:

აფხაზეთი მე ვარ, (2019). *აფხაზეთი მე ვარ* (რუსთავის ბატალიონის წევრების მოგონებები და აფხაზეთის ომის ისტორიები). *პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი შორენა ჯავაშვილი*. თბილისი.

აფხაზეთის საკითხი (1999). აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. 1. თბილისი.

ბურჭულაძე (2011). ნინო ბურჭულაძე. გუმისთაზე. გაზეთი *,,კვირის პალიტრა“* , #38, 19-25. 09. 2011.

გოგლიძე (2019). ჯონდო გოგლიძე. მეომრის უბის წიგნაკის ჩანაწერები – წიგნში: ჯონდო გოგლიძე. დაგვიანებული წერილი. თბილისი.

დადგენილება (1993). დადგენილება აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოსი. –,,აფხაზეთის ხმა“ (გაზეთი), #12, 21 მარტი.

დევიძე (2006). დავით დევიძე. „ძარცვა-გლეჯა მთელი ომის განმავლობაში არ შეწყვეტილა“. გაზეთი *,,კვირის პალიტრა“* , #47, 20-26 ნოემბერი.

მიქატაძე (2018). ზაირა მიქატაძე. მარტის გამარჯვება სოხუმისთვის ბრძოლაში. *,,არსენალი“*, სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. #3.

პაპასქირი (2007). ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. II. თბილისი, გამომც. *„მერიდიანი“*.

ტოკლიკიშვილი (2017). ლია ტოკლიკიშვილი. „როცა ისინი, მკვდრები, იღვიძებენ“. „აფრა“, სალიტერატურო, რელიგიურ-ფილოსოფიური და საზოგადოებრივი ჟურნალი, N24, თბილისი.

უწყებები (1993). საქართველოს პარლამენტის უწყებები, N5-8.

ყოლბაია, გელანტია, ლაცუზბაია, ჭახრაკია (1996). ვახტანგ ყოლბაია, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზბაია, თეიმურაზ ჭახრაკია. აფხაზეთის ლაბირინთი: (1992-1993 წლებსა და შემდგომ პერიოდში განვითარებული მოვლენები). თბილისი, შპს *„არხატის“ სტ*.

ჩიკვაიძე (2004). ალექსანდრე ჩიკვაიძე. პოლიტიკური ჭადრაკი. სამი სხვადასხვა ქვეყნის ელჩის თვალით. თბილისი, გამომც. *„ლოგოს პრესი“*.

ჯოჯუა (2017). დაზმირ ჯოჯუა. რუსეთი და 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში. – წიგნში: *აფხაზეთის, საქართველო, ტრაგედია: ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები*. თბილისი, გამომც. „საარი“.

Авидзба (2013). А. Ф. Авидзба. Проблемы военно-политической истории Отечественной войны в Абхазии (1992-1993 гг.). В двух книгах. Книга I. Сухум, 2013 Книга II. Сухум. (http://apsnyteka.org/file/avidzba_a_problemy_voenno_politicheskoy_istorii_otechestvennoy_voiny_v_abkhazii_1992_1993_kniga_2.pdf).

Пачулия (2010). В. М. Пачулия Грузино-абхазская война 1992-1993 гг. (Боевые действия). Сухум.

Шария (1993). В. Шария. Абхазская трагедия. Сочи.

Headquarters Department Of The Army, FM 3-0.2001 – Headquarters Department Of The Army, FM 3-0. OPERATIONS. June, 2001.